საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საშაბათი

მაისი 14

კავკასიონი

The KAVKASIONI

©. ყოველდღიური გაზეთი № 81 (375)

ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

«აფხაზური მეცნიერების» «მილწევები»

აფხაზეთში მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაცია „აიდგილარა" და სხვა პოლიტიკური გაერთიანებები განუწყვეტლივ და მიზანმიმართულად ავრცელებენ სხვადასხვა სახის განცხადებებსა და მონოდებებს, ე.წ. „მეცნიერულ გამოკვლევებს", რომელთა ძირითადი მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის დარღვევა. ამგვარი „ნაშრომების" გამოცემა დღესაც ხორციელდება. მაგალითად, გამოიცა „აფხაზეთი — გამოუცხადებელი ომის ქრონიკა", „აფხაზეთის თეთრი წიგნი", „აფხაზეთის ტრაგედია" და სხვა. აღნიშნულ „ნაშრომებში" აფხაზი ფაშისტები ამტკიცებენ, თითქოს ქართველები ესწრაფვიან აფხაზთა გაქართველებას, თითქოს აფხაზეთი არასოდეს ყოფილა საქართველოს შემადგენელი ნაწილი, თითქოს მრავალი საუკუნის მანძილზე იგი იყო დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო.

აფხაზთა ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი ალექსი გოგუა ამტკიცებს, რომ საქართველებმა აფხაზური ინტელიგენციის განადგურებითა და დაკნინებით, აფხაზური ენოლების დახურვით, აფხაზეთის მიწაზე სხვა კუთხიდან 200000-ზე მეტი კაცის ჩასახლებით მოკურ მდგომარეობაში ჩააყენეს აფხაზი ხალხი და მისი კულტურა, ოღონ მისი ავტონომია ფარატინა ქაღალდად აქციეს.

სისხლის სამართლის საქმე ჯერჯეროგით შეჩერებულია

როგორც ცნობილია, აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტის დროს, დაქირავებულ ებულთა შეკრებასა და დაფინანსებაში განსაკუთრებით აქტიურობდა მთიელ ებულთა კონფედერაციის ლიდერი მუსა შანიბოვი. მან თავის დროზე საქართველო ა მისი დედაქალაქი ტერორისტული აქტების ზონადაც კი გამოაცხადა. საქართველოს პროკურატურის თხოვნით, რუსეთის გენერალურმა პროკურორმა მის ბამართ აღძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ამჟამად შეჩერებულია, ითქოსდა დანაშაულის დაუდასტურებლობის გამო.

იბერია

აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით

საქართველო დღეისთვის არ მოითხოვს დსთ-ს სამშვიდობო ძალების მიერ ბოლიციო ფუნქციების შესრულებას აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე. საკმარისი ნება პირველ ეტაპზე აღნიშნული ღონისძიების მხოლოდ გალის რაიონში ანხორციელება. ამის შესახებ სააგენტო კორესპონდენტისთვის ცნობილი გახდა ანონიმუნო წყაროდან, რომელიც მონაწილეობდა ე.შევარდნაძესა და ე.პრიმაკოვს ორის თბილისში გამართულ მოლაპარაკებებში. იმავე წყაროს ცნობით, სამშვიდობო ალების ახალ მანდატთან დაკავშირებით ე.შევარდნაძე წინადადებებით წარსდგება ბთ-ს ქვეყნების უმაღლესი დონის შეხვედრაზე, რომელიც მიმდინარე წლის 17 ბისს მოსკოვში გაიმართება. წინადადებათა მიღების შემთხვევაში, სამშვიდობო ალების მანდატი გაგრძელდება. იმავე წყაროს თქმით, პრიმაკოთან ერთად თბილისში ამოსულმა მისმა პირველმა მოადგილემ ბ.პასტუხოვმა აფხაზეთის ავტონომიური ესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ დსთ-ს ბიტზე ასევე განიხილება რუსეთის სამშვიდობო ძალების მთავარი საგუშაგოების ბდინარე ენგურიდან მდინარე ღალიძგაზე (გალისა და ოჩამჩირის რაიონებს შორის) ადატანის საკითხი.

იფრინდა

ვიზიტი

„სპეციალური სტუმარი" რომ გავხდეთ...

საქართველოს დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის ელმძღვანელობით სტრასბურგს გაემგზავრა, სადაც 13-14 მაისს გაიმართება ოლიტიკური დიალოგი ევროპის საბჭოსა და საქართველოს შორის. დაგეგმილია ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან დანიელ ტარშისთან, პოლიტიკურ საქმეთა დირექტორატის, ადამინის უფლებათა, განათლების, კულტურისა და სპორტის საქმეთა დირექტორატის, სოციალურ და ეკონომიკურ საქმეთა დირექტორის ხელმძღვანელობასთან.

ი. მენაღარიშვილი ამ ფორუმზე გამოვა მოხსენებით საქართველოში არსებული ოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის, საქართველოსა და ევროპის საბჭოს შორის ურთიერთობის სამომავლო პერსპექტივების შესახებ. ანიშნულ პოლიტიკურ დიალოგს ექსპერტები აფასებენ, როგორც საქართველოსთვის ევროპის საბჭოს სპეციალური სტუმრის სტატუსის მისაღებად გადადგმულ ნაბიჯს, ოც ამ ორგანიზაციაში საქართველოს განევრიანების საწინდარი იქნება.

იფრინდა

ფინანსები

ახალი ტარიფები

საკონსულო გადასახადის ახალი ... ძალაში შევა 1996 წლის 4 ...დან. მათი ფუნქციაა ... მოაწერ... უცხოელი მოქალაქეების საავიზო ...ბრეობის ტარიფები.

ახალი ტარიფით ერთჯერადი ვიზა ...ოლარი ეღირება, სატრანზიტო — ...ოლარი, ორჯერადი ტრანზიტისა ..., სპეციალური და მრავალჯერადი — 100 დოლარი.

გაიხსნება ახალი საკონსულო უნქტები

...ახლოეს მომავალში სარფისა და ...ზე-ვალეს გამშვებ პუნქტებში, თბილისის აეროპორტის რეკონ...ებულ შენობაში, რომელიც ...ბრში ჩადგება ოვნისის პირველ ...ში, გაიხსნება საკონსულო პუნ...ი. საზღვარგარეთელი მოქალაქეები ...ებენ ერთჯერადი — 15-დღე-ღამი...ვიზა მიიღონ 15 დოლარად. ...ნსულო პუნქტები, რომლებიც დღე ...ამე იმუშავებენ, სხვა საკონსულო ...ბურსაც გაუწევენ მსურველებს.

BS-PRESS

საზღვარზე

საქართველო-სომხეთის საზღვრის დემარკაცია

12 მაისს ბოლნისის რაიონის სოფელ ფოლადაურში, სომხეთ-საქართველოს სასაზღვრო ზონაში შეიქმნა სამხედრო კომენდატურა, რომლის გახსნასაც ესწრებოდნენ საქართველოს სასაზღვრო ჯარების დეპარტამენტის უფროსი ვ.ჩხეიძე, ქვემო ქართლის რწმუნებული ლ.მამალაძე, სპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე რ.ადამია. აღნიშნული კომენდატურა გააკონტროლებს და კოორდინაციას გაუწევს მანამდე არსებულ სასაზღვრო ზოლს. იგი 300 ჯარისკაცის მეშვეობით 206 კილომეტრიან ზოლს გააკონტროლებს.

12 მაისი ფოლადაურის საზღვრის დემარკაციის დღედ გამოცხადდა.

იფრინდა

კანონიერება

მინისტრი აფრთხილებს

გუშინ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ სამინისტროს კოლეგიის სხდომა ჩაატარა. განიხილეს რამდენიმე აქტუალური საკითხი, კერძოდ, ბიზნესმენებისა და პოლიციის ურთიერთობა. აღინიშნა, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა აღკვეთონ ნებისმიერი კანონსანინააღმდეგო ქმედება კერძო მეწარმეობაში, თუმცა, ამავე დროს, არ უნდა გადააჭარბონ თავიანთ უფლებებს და ხელი არ შეუშალონ ბიზნესის განვითარებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უახლოეს ხანში გაიმართება შეხვედრა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და კერძო მეწარმეებს შორის, რომლის დროსაც დაგეგმილია შემუშავდეს შესაბამისი დოკუმენტი. იგი განსახილველად წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

კოლეგიაზე გაანალიზდა თბილისში არსებული კრიმინოგენული სიტუაცია. ითქვა, რომ ძალიან გაიზარდა სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსულთა მიერ ჩადენილი დანაშაულების რაოდენობა. ამის გამო, შსს-ს გადაწყვეტილი აქვს, დედაქალაქში საპასპორტო რეჟიმის გამკაცრების შესახებ თავისი წინადადებები წარუდგინოს თბილისის მერიას.

კოლეგიის გადაწყვეტილებით, თბილისში, ღამის საათებში, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის მიზნით ჩატარდება პატრულირება.

კახა თარგამაძემ კიდევ ერთხელ მიაქცია ყურადღება სამართალდამცავ ორგანოში სამსახურებრივი დისციპლინის დაცვას. მან განსაკუთრებით მკაცრად გააფრთხილა საგზაო პოლიციის თანამშრომლები და აღნიშნა, რომ მკაცრი ღონისძიებები გატარდება იმ პოლიციელების მიმართ, ვინც შემჩნეული იქნება კორუფციაში და ფულს გამოძალავს ქალაქში ჩამოსულ გლეხებს.

BS-PRESS

ეკონომიკა

იწყება მშენებლობა...

ხვალ ფოთში იწყება ნავთობსადენის მშენებლობა. სამუშაო სხდომაზე, რომელსაც სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი უძღვებოდა, განიხილეს საქართველოს ტერიტორიაზე კასპიის აღრეული ნავთობის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები.

ნავთობსადენის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით, 28 მაისს თბილისში ჩამოვა ნავთობის საერთაშორისო საოპერაციო კონსორციუმის პრეზიდენტი ტერი ადამსი. საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობის ტრანსპორტირება კი 1998 წელს დაიწყება.

თურქეთი უკან იხევს?

აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კონსორციუმის პრეზიდენტმა ტერი ადამსმა მიიღო ოფიციალური უწყება ანკარიდან იმის თაობაზე, რომ თურქეთის მხარემ უკანვე წაიღო თავისი წინადადება აზერბაიჯანიდან საქართველოს შავი ზღვის სანაპირომდე ნავთობსადენის დასავლეთის მარშრუტის რეკონსტრუქციის დაფინანსების შესახებ.

ადრე თურქეთმა გამოხატა მზადყოფნა, გამოეყო 240 მილიონი დოლარი რეკონსტრუქციისთვის, მაგრამ კონსორციუმი არ დაეთანხმა ამ წინადადებას, რადგან იგი ითვალისწინებდა ტრანსპორტირებული ნავთობის მოცულობის წელიწადში 6 მილიონ ტონამდე შემცირებას. კონსორციუმისა და ოფიციალური ბაქოს უარი განაპირობა იმანაც, რომ ფინანსირების საკითხი დაკავშირებული იყო თურქეთის ტერიტორიაზე ძირითადი ნავთობსადენის გაყვანის ვალდებულებასთან. კონსორციუმმა უარყო თურქეთის წინადადება და განაცხადა, რომ თავად დააფინანსებს ამ პროექტს.

BS-PRESS

განახლდა გაზის ტრანზიტი

10 მაისიდან განახლდა თურქმენეთიდან სომხეთისთვის საქართველოზე ტრანზიტით გაზის მიწოდება, რომლის მოცულობა, ნაცვლად შეთანხმებით გათვალისწინებული 5 მილიონისა, დღე-ღამეში დაახლოებით 2 მილიონ კუბომეტრს შეადგენს.

თურქმენეთისთვის საქართველოს დავალიანება 400 მილიონ დოლარს შეადგენს, ხოლო სომხეთისა — 40 მილიონ დოლარს, რის საფუძველზეც საქართველოსა და სომხეთს მიმდინარე წლის 27 აპრილს თურქმენეთიდან გაზის მოწოდება შეუწყდა. სარწმუნო წყაროს ცნობით, გაზის მონოდების აღდგენა შესაძლებელი გახდა სომხეთის ენერგეტიკის მინისტრის გაგიკ მარტიროსიანის აშხაბადში გამართული მოლაპარაკებების შედეგად.

იფრინდა

აქცია

პედაგოგთა პროტესტის პერიპეტიები

„გაფიცულ მასწავლებელთა ხელფასის გაზრდის მოთხოვნა უარისთვისაა განნირული", — განაცხადა „ალიონისთვის" მიცემულ ინტერვიუში საქართველოს განათლების მინისტრმა თამაზ კვაჭანტირაძემ — თუ რესპუბლიკის ყველა პედაგოგს დავუნიშნავთ ხელფასს 100 ლარის ოდენობით, საერთო თანხა რესპუბლიკის ბიუჯეტის ნახევარს გაუტოლდება. ასეთი გადაწყვეტილების მიღება კი შეიძლება შეფასდეს, როგორც ანტისახელმწიფოებრივი". მინისტრის აზრით, გამოსავალი ხელფასის თანდათანობით მომატებაშია.

თამაზ კვაჭანტირაძემ ბრალი დასდო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს გაფიცული სკოლების რაოდენობის შესახებ დეზინფორმაციის გავრცელებაში. მისი განცხადებით, თბილისში ამჟამად მხოლოდ ორი სკოლის პედაგოგები არიან გაფიცულნი.

* * *

მასწავლებელთა საგაფიცკო კომიტეტმა, პედაგოგებმა და პროფესორებმა მოუნოდეს რესპუბლიკის მასწავლებლებს, მონაწილეობა მიიღონ გაფიცულ პედაგოგთა ყრილობაში, რომელიც 18 მაისს გაიმართება თბილისში. ყრილობაზე დაგეგმილია შემდგომი სამოქმედო პროგრამის შემუშავება.

„საქართველოს პედაგოგთა გაფიცვა ემსახურება ქვეყანაში განათლების გადარჩენასა და ამ სისტემის კომერციალიზაციისგან გათავისუფლებას, — ნათქვამია გუშინ გაფიცვის კომიტეტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში, — პედაგოგთა გაფიცვა პროტესტის მშვიდობიანი ფორმაა. ეს აქცია შეესაბამება საერთაშორისო სამართლის პრინციპებს ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ და არაფრით ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას".

* * *

სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 1996 წელს საქართველოში მოქმედებს 3231 საშუალო სკოლა, მათგან 2502 — სოფლად. მოსწავლეთა საერთო რაოდენობა 730 000-ს შეადგენს. პედაგოგთა რაოდენობა კი — 80 137-ს, მათგან 78,7 პროცენტი ქალია.

მოსწავლეთა 84,2 პროცენტი განათლებას იღებს ქართულად, 7,3 პროცენტი — რუსულ ენაზე, 4,5 — აზერბაიჯანულზე, 3,9 — სომხურზე და 0,03 — ოსურ ენაზე. ქართულ ენაზე მოსწავლეთა რიცხვი 1990-91 წლებთან შედარებით 15,4 პროცენტით გაიზარდა.

1436 საშუალო სკოლაში სწავლობენ გერმანულს, 867-ში ინგლისურს, 368-ში ფრანგულს, 28-ში აღმოსავლურ ენებსა და ესპანურს. 177 სკოლაში საერთოდ არ წარმოებს უცხო ენის სწავლება. ამ სკოლათა კონტინგენტი 11 ათას მოსწავლეს აღემატება.

BS-PRESS

ჩეჩნეთი

შამილ ბასაევი მოლაპარაკების წინააღმდეგია

ჩეჩენ მებრძოლთა ერთ-ერთმა ლიდერმა შამილ ბასაევმა კვირას განაცხადა, რომ იგი არ წავა რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინთან მოლაპარაკებაზე. ბასაევმა თქვა, რომ ელცინის შემოთავაზება ჩეჩენ ლიდერებთან მოლაპარაკების თაობაზე სხვა არაფერია, თუ არა სახოგადოებისთვის თვალის ახვევა. რუსეთის მოსაკალი საპრეზიდენტო არჩევნების წინ. ჟურნალისტებთან ტელეფონით საუბრისას ბასაევმა აღნიშნა, რომ მას საკმარისი რაოდენობის შეიარაღებული ძალა აქვს, რათა რუსეთის აგრესიულ მოქმედებებს გაუმკლავდეს და იბრძოლოს ყველაფერი ბალების წინააღმდეგ. თუმცა, ახლო მომავალში რაიმე ფართომასშტაბიანი ოპერაცია მას დაგეგმილი არა აქვს.

პარტიზანები კვლავ აქტიურობენ

გასული დღე-ღამე ჩეჩნეთში ორმხრივი გაფიცულები სროლებით აღინიშნა. ჩეჩნეთის რესპუბლიკის კომენდანტის ინფორმაციით, დუდაევის მომხრეთა მიმბიელური ორ-სამკაციანი ჯგუფები 13-ჯერ დაესხნენ თავს ფედერალური ძალების პოზიციებს. შედეგად — დაიღუპა ერთი სამხედრო მოსამსახურე, შვიდი დაჭრილია. გუშინ დილით კი, გროზნოს სტარაპრომისლოვსკის რაიონში, ჩეჩენ მებრძოლთა კონცენტრაციის ადგილების გამოსაკვლევად, ფართომასშტაბიანი ოპერაცია დაიწყო. მასში 700-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობს.

ეს

...ოვანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას 1996-1997 სასწავლო წლისთვის

იხილეთ მე 3 გვ.

...ეზიდენტიანი

ბოლო პერიოდში გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა" აწარმოებს ჟურნალისტურ ძიებას ჩეჩნეთიდან ნარკოტიკების ექსპორტის ირგვლივ. ამ თემას რამდენიმე კუბლიკაცია მიეძღვნა. ბოლო სტატიაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს ნარკოტიკების ტრანზიტის საქმეში. შესაძლოა, ჟურნალისტის მიერ მოკვლეული მასალები თუ მოტანილი ფაქტები, ზოგ შემთხვევაში, არც არის ყოველმხრივ შემოწმებული და სარწმუნო, მაგრამ, ვფიქრობთ, ქვემოთ მოყვანილ სტატიაში ბევრი რამ არის საბულისხმო და სამომავლოდ გასათვალისწინებელი.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ნარკოგზნესმა ჩეჩნეთში ნამდვილ პროფესიონალურ დონეს 1991 წლის ბოლოს მიაღწია. სწორედ ამ დროს საერთაშორისო ნარკოდაჯგუფებში. სახელწოდებით „თანამეგობრობა", გაერთიანდა ყოფილი სსრკ-ს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის რამდენიმე ოფიცერი.

ჩეჩნეთი იქცა არამხოლოდ „თეთრი სიკვდილის" სატრანზიტო კუნქტად, არამედ შალის რაიონში ჩამოყალიბდა ფაბრიკა, რომელიც მორფინს ჰეროინად ამუშავებდა. საწარმოო ხაზი შეუფერხებლად მოქმედებდა 1995 წლის იანვრამდე — მანამდე, ვიდრე იგი არ დაზიანდა რუსეთის ავიაციის დაბომბვის შედეგად...

მასალა იხილეთ მე 2 გვ

...ოსუფლიანი

...ოსტატ მაძიებლებს წარლიდან ...ბი ეროვნულ ლიდერებს კოალ...ებ... „ბალტიკა", „ბალტიკა", „ბალტიკა" ...ბენენ). ადრე ფიოდოროვიც ...ბ... ...ბ... ...ბ...

ПРЕССМЕРИДИАНИ

სასიკვდილო ტრანზიტი — 2

ვინ და რა მონაწილეობას იღებს ჩეჩნეთის გზით ნარკოტიკების გადაზიდვაში?

შავი ზღვა, თეთრი სიკვდილი

პირველი გვერდიდან

დუდაევის მომხრეებმა ერთდროულად ორ მხარესთან აწარმოეს მოლაპარაკებები ნარკოტიკების ტრანზიტის ახალი გზის თაობაზე: ჯერ ქართულ გასამხედროებულ ორგანიზაცია „მხედრიონთან", რომელსაც ჯაბა იოსელიანი ხელმძღვანელობდა, მოგვიანებით კი — ლიტვის შინაგან და საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლებთან, რომელთაც რომასის ვაიტეკუნასი და პოვილას გილისი ედგნენ სათავეში. როგორც ცნობილია, ურთიერთობების ჩაბოყალიბებაში ძირითადი ღვაწლი მიუძღვით უსმან იმაევს, საიდს, დუდაევის გენერალური შტაბის უფროსს, ასლან მასხადოვსა და რესპუბლიკა იჩქერიის ვიცეპრეზიდენტს ზელიმხან იანდარბიევს. ტრანზიტის ახალმა არხებმა, პრაქტიკულად, მაშინვე — 1992' წლის ბოლოს — დაიწყო ფუნქციონირება. აღსანიშნავია, რომ 1993 წლის დასასრულიდან შამილ ბასაევის ძალისხმევით (რომელიც იმჟამად აფხაზეთში ჩეჩენ მოხალისეთა ხელმძღვანელი იყო), ნარკოტიკების კონტრაბანდის კიდევ ერთი ახალი, აფხაზური არხი ამოქმედდა.

1993-94 წლებში პეროინის დიდი ნაწილი ქართველი „მეგობრების" დახმარებით გადაიზიდებოდა. ნარკოტიკების პარტიები კერძო თვითმფრინავებით ქუთაისში იგზავნებოდა, იტვირთებოდა სატვირთო მანქანებში ან შვეულმფრენებში და ფოთის პორტში ჩაქონდათ. აქ „საქონელს" უზრუნველყოფილი პქონდა საბაჟოზე გატარება და უსაფრთხო ჩატვირთვა საზღვაო ხომალდზე, რომელიც კვიპროსის დროშით ცურავდა. ამ გემს სინამდვილეში აკონტროლებდა ილიჩი (სუკის ერთ-ერთი ყოფილი ოფიცერთაგანი, რომელმაც ნარკოტიკების გადაზიდვის „ჩეჩნური არხი" მოაწესრიგა). გემი შავი ზღვის პორტებს შორის კურსირებდა და კარიბის ზღვის აკვატორიამდე ასრულებდა ტრანსატლანტიკურ გადასვლებს. 1994 წელს ქართული არხის საშუალებით „ჩეჩნური წარმოების" დაახლოებით 15 ტონა პეროინი გაიზიდა. დამატებით 3 ტონა კი აფხაზეთის გაელით გადაიტანეს.

აფხაზეთის მარშრუტს თამამად შეიძლება ეწოდოს ძმები შამილ და შირვანი ბასაევების კერძო ნარკოარხი. ისინი დღესაც, ომის მიუხედავად, МИ-8 მარკის შვეულმფრენების საშუალებით, აგზავნიან ნარკოტიკებს ჩეჩნეთის ვედენოს რაიონიდან ახალი ათონის საავერტმფრენო მოედანზე. ვერტმფრენთათვის დროებით დასაჯდომი პუნქტების როლს ასრულებენ ყაბარდო-ბალყარეთში ჯვირაპის ხეობაში მოწყობილი ბაზები. ახალი ათონიდან ნარკოტიკი სოხუმის პორტის მიმართულებით აგრძელებს გზას, იქიდან კი, თურქეთის დროშით მოცურავე გემებით, ჩრდილოეთ კვიპროსის პორტ ფამაგუსტაში იგზავნება. აქ კი „საქონელი" ადგილობრივ ნარკოსაქმოსანთა ხელში ხვდება. უკანა მარშრუტებზე ხომალდებს, როგორც წესი, ბასაევის რაზმისთვის იარაღი და ტყვია-წამალი მოაქვთ. გასულ წელს აფხაზეთ-კვიპროსის არხით ტრანზიტის მოცულობა, 1994 წელთან შედარებით, დაახლოებით სამჯერ შემცირდა და მხოლოდ ერთი ტონა შეადგინა. ეს ფაქტი, უპირველეს ყოვლისა, ქართველ ნარკოსაქმოსანთა კონკურენციით აიხსნება.

კოლუმბიური კლანები და სიცილიელი მაფიოზები

რაც შეეხება თვით საქართველოს: 1992-95 წლებში ნარკოტიკების მნიშვნელოვანი ნაწილი აქედან რუმინეთში იგზავნებოდა. იქ კი ტვირთის მიღებითა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფით ვინმე დოქტორი დუმიტრუ იყო დაკავებული, წარსულში ოფიცერ-"სეკურიტატე" (უშიშროების ოფიცერი), ამჟამად კი საკმაოდ მსხვილი ბიზნესმენი და, ამავე დროს, ბოშათა მაფიოზური ორგანიზაციის — „გვარდიის" ერთ-ერთი ნათლიმამა. „თანამეგობრობის" ყოფილ ოფიცერთა მსგავსად, უნგრეთში, იტალიაში, ავსტრიასა და გერმანიაში ძველი კავშირების საშუალებით ნარკოტიკებს დასავლეთ ევროპაში აგზავნიდა, სადაც ტვირთს ბითუმად ყიდულობდნენ სიცილიელი მაფიოზები ან მათთან შეკრული ალბანური წარმოშობის კოსოვოელი ნარკოსაქმოსნები.

სხვათა შორის, ეს უკანასკნელნი, დიდნილად ჩეჩნური პეროინის წყალობით, ნარკობიზნესის ერთგვარი რეკორდსმენებიც კი გახდნენ. ინტერპოლის მონაცემებით, ამჟამად კოსოვოელი ალბანელები შვეიცარიაში ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობის 70 პროცენტს აკონტროლებენ, გერმანიასა და დანიაში — 60 პროცენტს, ხოლო შეერთებულ შტატებში კი — 40 პროცენტს.

ჩეჩნური პეროინის მეორე ნაწილი, რომელმაც სარეკორდო 1994 წელს დაახლოებით 13 ტონა შეადგინა, იმავე ილიჩის ხომალდის საშუალებით, კარიბის ზღვაში მდებარე პატარა კუნძულზე იგზავნებოდა. იქ ტვირთს იღებდა ერთ-ერთი ადგილობრივი გენერალი, რომელიც ნარკოსაქმოსანთა წრეებში ცნობილია დონ აბერალდოს სახელით. შემდგომ, კოლუმბიური კოკაინის შეერთებულ შტატებში გადაზიდვის მრავალჯერ გამოყენებული არხებით, პეროინი ფლორიდას შტატში გადაპქონდათ. აღსანიშნავია, რომ უკანა მარშრუტებზე ილიჩის ხომალდს ფოთში კოკაინის მსხვილი პარტიები მოპქონდა. 1994 წელს საქართველოში 30 ტონა კოკაინი ჩაიტანეს. ძირითადი პარტიები „მხედრიონის" ნარმომადგენელთა ძალებით ქუთაისის რაიონში იგზავნებოდა და იმ კომერციულ ობიექტში ინახებოდა, რომელსაც „მხედრიონი" აკონტროლებდა. იქიდან, საჭიროებისდა მიხედვით, ნარკოტიკები, უფრო მცირე პარტიებად, კვლავ ფოთში ბრუნდებოდა და იგივე ხომალდით ან ხმელთაშუა ზღვაში იგზავნებოდა, ღია ზღვაში სიცილიელ მაფიოზთა გემებზე გადასატვირთად, ან დოქტორ დუმიტრუსთან და შემდეგ უკვე ცნობილი სქემის მიხედვით — ევროპაში.

1994 წელს მსოფლიოში სულ 900 ტონა კოკაინი ანარმოეს. ამ მოცულობის მესამედს, სხვადასხვა ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოთა მოქმედების წყალობით, ან კონფისკაცია გაუკეთდა, ან თავად კონტრაბანდისტებმა გაანადგურეს. 200 ტონა კოკაინს კი ან ლათინური ამერიკის შიდა ბაზრებზე გაუკეთდა რეალიზება, ან დაუდგენელი მიზეზებით, ვერ მოხვდა სამომხმარებლო ბაზარზე. 300 ტონა შეერთებულ შტატებსა და კანადაში გაიყიდა, დანარჩენი 100 ტონა კი — ევროპის ქვეყნებში. ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის თანახმად ივარაუდება, რომ 1994 წელს გამოყენებული კოკაინის მესამედი ევროპულ ბაზარზე საქართველოს გავლით მოხვდა.

თუმცა, 1995 წელს ამ რესპუბლიკის როლი ნარკოტიკების კონტრაბანდაში მკვეთრად შემცირდა. საქართველოს სამართალდამცავი სისტემის ახალი შეფი შოთა კვირაია მოსკოველი და ჩეჩენი ნარკოსაქმოსნების თვალში არ აღმოჩნდა ისეთი „ავტორიტეტული", როგორიც, მაგალითად, ჯაბა იოსელიანი, არ იმსახურებდა მათ ნდობას და მათაც სწრაფად მონახეს ახალი „პარტნიორის" გარეშე მოქმედების საშუალებები. შედეგად 1995 წელს საქართველოზე ტრანზიტის გზით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხალხის ხელშეწყობით, მხოლოდ ორ ტონა კოკაინამდე გადაიზიდა. ამასთან, დაახლოებით ნახევარი ტონა მოსკოვის სამომხმარებლო ბაზარზე მოხვდა. პეროინის გადაზიდვის საქმეში კი საქართველოს გზით ჩეჩნური კონტრაბანდისტული საქმიანობა საერთოდ შეწყდა. პრიორიტეტი მთლიანად ბალტიისპირეთს მიენიჭა.

დიპლომატიური საფარქვეშ

ბალტიისპირეთის გზით ევროპასა და შეერთებულ შტატებში ნარკოტიკების გადაზიდვის არხი ჩეჩნურმა დაჯგუფებამ 1992 წლის ბოლოდან გახსნა. ჩეჩნეთის აეროპორტებიდან პეროინი თვითმფრინავებით გადაპქონდათ ლიტვაში, ვილნიუსისა და შაულაის რაიონების აეროდრომებზე. 1994 წელს ამ არხის საშუალებით დაახლოებით 8 ტონა ნარკოტიკი გატარდა, 1995 წელს კი — უკვე 15 ტონა. 1995 წელს, კონტრაბანდისტთა მიერ ჩეჩნეთის აეროდრომების გამოყენებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, ნარკოტიკების გადატანა ბალტიისპირეთში ინგუშეთის აეროპორტ სლეპცოვსკიდან დაიწყეს, უფაზე, სანკტ-პეტერბურგსა და ყაზანზე ტრანზიტის გზით. ამასთან, თვითმფრინავები ფორმალურად ავიარეისებს კალინინგრადში ასრულებდნენ, თუმცა, ჯდებოდნენ ლიტვაში, სადაც ხდებოდა სანამლავის გადმოტვირთვა. ასეთი ფანდი ასლან მასხადოვმა მოიგონა, რომელსაც ვილნიუსში ძველი კავშირები პქონდა, ამჟამად არარსებული, თუმცა თავის დროზე საკმაოდ გახმაურებული ფირმა „სელმის" ხალხთან, რომელიც კავშირში იყო ლიტვისთვის იარაღის მიყიდვისა და ყამხედრო მოსამსახურეთათვის საცხოვრებლის მშენებლობის აფიორებთან.

1994 წელს პეროინის დაახლოებით ნახევარი ლიტვის შინაგან საქმეთა სამინისტროს არხებით, კლაიპედის პორტის გავლით, ჯერ ბორნებით გადაიტანეს გერმანიის კუნძულ რიუგენზე, შემდგომ კი კონტრაბანდული ფერადი ლითონების ნაკადთან ერთად — გერმანიაში. იქ კი პეროინს საიდის ხალხი იღებდა და მსხვილ საბითუმო პარტიებად აძლევდა სიცილიელებსა და მათ ერთგულ თანამშრომლებს — კოსოვოელ ალბანელებს. დამატებით, დაახლოებით ორი ტონა პეროინი დიპლომატიური არხებით მოხვდა გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და ავსტრიაში. ამ გადაზიდვის ორგანიზება ლიტვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხალხმა მოახდინა. არხის მეორე ბოლოში კი პეროინს კვლავ საიდი და მისი კრიმინალი პარტნიორი ვახა იღებდნენ.

ალექსანდრე ლიასკო

ახალი საზღვარგარეთი

ექსპრეზიდენტი იზოლატორიდან გამოუშვეს

გუშინ რუსეთის გენერალურ პროკურორს უნდა განეხილა აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტის აიაზ მუტალიბოვის აზერბაიჯანის მხარისთვის გადაცემის საკითხი. როგორც ცნობილია, მას ბრალი ედება სახელმწიფო გადატრიალების ორგზის მცდელობაში. ოფიციალური ბაქო ამტკიცებდა, რომ პროკურატურას გადაეცა ყველა ის საჭირო დოკუმენტი, რომელიც მუტალიბოვს ჩადენილ დანაშაულში ამხელს. მაგრამ, როგორც ჩანს, რუსული მხარისთვის, ეს დოკუმენტაცია „საკმარისი არ აღმოჩნდა" და ექსპრეზიდენტი იზოლატორიდან გამოუშვეს.

ნარკოტრასა ბელარუსზე გადის

რუსეთის, ბელარუსის, პოლონეთისა და გერმანიის სპეციალურებმა ჩაატარეს ოპერაცია ნარკოარხების გამოსაკვლევად. როგორც გამოირკვა, ძირითადი არხები ბელარუსზე გადის

უკრაინიდან რუსეთში გადადის ყაყაჩო. ყაზახეთიდან, პაკისტანიდან, ავღანეთიდან ევროპაში კი ოპიუმი, რომელიც ყველანაირი საექსპორტო საქონლის გარსიშია შენიღბული. არსებობს უკანა გზაც: ევროპა, ბელარუსი, რუსეთი. აღმოჩენილი და დაკავებულია ჯგუფი, რომელიც დსთ-ს სინთეტიკური ნარკოტიკებით „ამარაგებდა".

ბელარუსში ნარკომანიის გავრცელებას ხელს უწყობს ადგილობრივი ნარკოტიკების არსებობაც. მაგრამ ნარკობიზნესის 10 პროცენტი უკვე დასავლურ სინთეტიკურ საქონელზე მოდის. ამასთან ერთად გაჩნდა ძალზე საშიში „კრეკიც". შექმნილმა ვითარებამ აიძულა ბელარუსის ხელისუფლება, რომ ნარკომანიის წინააღმდეგ მიმართული სახელმწიფო პროგრამის შემუშავებაზე იფიქროს.

ტაჯიკეთი: ბრძოლები განახლდა

ტაჯიკეთის ტავილდარიმსკის რაიონში ბოლო დღეების მანძილზე, არ წყდება შეტაკებები სამოავრობო ჯარებსა და ისლამური ოპოზიციის მებრძოლებს შორის. ამ უკანასკნელებმა შეძლეს, ხელში ჩაეგდოთ რაიონული ცენტრი. მათთან ტყვედ აღმოჩნდა ქვეყნის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების 300-ზე მეტი მოსამსახურე. ტაჯიკეთის პრეზიდენტის პრესსამსახურის წარმომადგენელმა, მოშხდარ ფაქტთან დაკავშირებით, კომენტარისგან თავი შეიკავა. რაც შეეხება რუსეთის სამშვიდობო ძალებს, იტარ-ტასის ცნობით, მათ ნეიტრალური პოზიცია უჭირავთ და მოვლენათა მსვლელობაში არ ერევიან. თუმცა, რუსეთის ქვედანაყოფის 21-ე მოტომსროლელი დივიზია სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია.

„ვესტი" ხუთი წლისაა

ხუთი წლის წინ, 13 მაისს, პირველად გავიდა ეთერში რუსეთის ტელე-რადიო კომპანიის საინფორმაციო პროგრამა „ვესტი". კოლეგების გარდა „ვესტის" იუბილეს მოულოცა რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა. იგი თავად ესტუმრა „ვესტელებს", საპატიო სიგელები გადასცა პროგრამის ხელმძღვანელებს, კორესპონდენტებსა და ოპერატორებს.

ქართველი და ოსი ჟურნალისტების შეხვედრა

დღეს ცხინვალში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისიის ინიციატივითა და ეგიდით გაიმართება თბილისელი, ცხინვალელი და გორელი ჟურნალისტების შეხვედრა. მხარეები განიხილავენ კონფლიქტის ზონაში ჟურნალისტების საქმიანობას, საინფორმაციო ბლოკადის მოხსნასთან დაკავშირებულ პრობლემებს და თანამშრომლობის პერსპექტივებს.

ეს პუმანური აქცია უსათუოდ დადებით გავლენას მოახდენს ქართულ-ოსური კონფლიქტის ძირითადი პრობლემების გადაჭრაზე.

ახლო აღმოსავლეთი

ვაჭრობა ამომრჩეველთა ხმებით

კვირას ისრაელის არაბი პოლიტიკური ლიდერები შიმონ პერესთან მსჯელობდნენ 29 მაისის საპარლამენტო არჩევნებში მათი მონაწილეობის თაობაზე. ისრაელელმა არაბებმა კარგად იციან მათი პოლიტიკური ძალის ფასი (ისინი ელექტორატის 12 პროცენტს შეადგენენ).

გასულ კვირას არაბმა ლიდერებმა პრემიერმინისტრს წარუდგინეს, მოთხოვნათა ნუსხა, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში ისინი მზად არიან მოუნოდონ არაბ საზოგადოებას, რომ მხარი დაუჭირონ პერესს. მოთხოვნებში შედის ისრაელის მიერ დასავლეთის სანაპიროსა და ღაზის სექტორის ჩაკეტვის გაუქმება და „პამასის" ლიდერის შეიხ ახმად იასინის გათავისუფლება.

პერესმა განუცხადა მათ, რომ ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილება დიდ პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული, თუმცა აღუთქვა არაბთა ლიდერებს, რომ იგი ყველაფერს გააკეთებს ისრაელელ არაბთა საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად.

«გაათავისუფლეთ ოკუპირებული ტერიტორია!»

სამმა არაბმა ლიდერმა — პალესტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა იასერ არაფატმა, ეგვიპტის პრეზიდენტმა ხოსნი მუბარაქმა და იორდანიის მეფე პუსეინმა მოუწოდეს ებრაულ სახელმწიფოს, გააათავისუფლოს ოკუპირებული არაბული ტერიტორია. ეს მოწოდება გაისმა ქაიროში გამართულ ერთდღიან სამიტზე, რომელსაც ორგანიზება გაუკეთა ეგვიპტის პრეზიდენტმა, რათა გარკვეულიყო არაბების საბოლოო პოზიცია სამშვიდობო პროცესის ბოლომდე მიყვანასთან დაკავშირებით.

გალკანეთი

ითხოვენ არჩევნების გადადებას

გუშინ ევროპის საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბნენ, რათა მოენახათ გზები მოსტარში, სიდიდით ბოსნიის მესამე ქალაქში, არჩევნების უსაფრთხოდ ჩატარებისთვის. მუსლიმთა პარტიებმა უარი განაცხადეს არჩევნებში მონაწილეობაზე და არ გაიარეს რეგისტრაცია, რომელიც პარასკევს დასრულდა. ისინი პროტესტს აცხადებენ ხმის მიცემის წესების გამო, რომლებიც მოსტარში ევროკავშირის ადმინისტრატორმა რიკარდო კარადომ დაადგინა.

მუსლიმები და სერბების ნაწილი აცხადებენ, რომ ისინი არ მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში, ვიდრე ათობით ათასი ადამიანი ხორვატთა ძალების მიერ მოსტარიდან იდევნება.

ბოსნიაში საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლები სთხოვენ ევროკავშირს, გადადოს არჩევნები.

მოინახულეს მასობრივი დამარხვის ადგილი

ორმოცდაორმა ბოსნიელმა ხორვატმა მოინახულა მასობრივი დამარხვის ადგილი იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ამჟამად ბოსნიელი სერბები აკონტროლებენ. ხორვატთა ჯგუფს თან ახლდნენ სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები და კათოლიკე მღვდელი, რომელმაც გენოციდის მსხვერპლთ პანაშვიდი გადაუხადა. ღონისძიება მშვიდ ატმოსფეროში ჩატარდა.

მოკლედ

კუზიანს სამარე გაასწორებს

ესპანეთის წამყვანი გაზეთი „El País" იუწყება, რომ ბასკთა სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფება ეტა მალე დაიწყებს მასიურ შეტევებს ესპანეთის უშიშროების სამსახურებს წინააღმდეგ.

კვირას ბილბაოში განლაგებულ სამხედრო ბაზებში ორი ნაღმი აღმოაჩინეს. ესპანეთის ახალმა პრემიერმინისტრმა ხოსე მარია ასნარმა უარყო ტერორისტებთან ნებისმიერი სახის მოლაპარაკების შესაძლებლობა.

"სალუტი ისრაელს!"

ნიუ-იორკში მეხუთე ავენიუს მცხოვრებლებმა მოაწყვეს ყოველწლიური მარშპარადი სახელწოდებით „სალუტი ისრაელს!" ამით მათ გამოხატეს სოლიდარობა ებრაელებისადმი. მსვლელობას მეთაურობდა ქალაქის მერი ჯულიანი. შემდეგ გაიმართა ფოლკლორული ჯგუფების გამოსვლა.

ავიაკატასტროფა ფლორიდაში

ქალაქ მაიამის (ფლორიდის შტატი) მახლობლად კატასტროფა განიცადა თვითმფრინავმა, რომელშიც, ეკიპაჟის ხუთი წევრის გარდა, 104 მგზავრი იმყოფებოდა. თვითმფრინავი მაიამიდან რვა კილომეტრით დაშორებულ ჭაობში ჩავარდა. ეს ადგილი ეროვნული ნაკრძალია და ჭაობში უხვად ალიგატორები ბინადრობენ. სამაშველო სამუშაოები. ჯერჯერობით, უშედეგოა. შემოხვევის ადგილზე ვერ აღმოაჩინეს ვერც მგზავრთა გვამები და ვერც ეგრეთ წოდებული შავი ყუთი. როგორც იტყობინებიან, რომელიმე მგზავრის გადარჩენის შანსი, პრაქტიკულად, აღარ არსებობს. თუმცა, „გადარჩენის" შანსებზე, როგორც თაყვანცემა ხედებით, საუბარი ალბათ, უაზრობაა. ალიგატორები შეყ ყუთს არა, მაგრამ ადამიანებს კ ნამდვილად გემრიელად შეექცევიდნენ.

ახალი წიგნები

მართალი და საჭირო წიგნი აფხაზეთის ისტორიაზე

(გ.ვ.წულაია. აფხაზეთი და აფხაზები საქართველოს ისტორიის კონტექსტში)

აფხაზეთის ისტორიასთან, აფხაზურ-ადიღურ ტომთა ძველი კოლხეთის ზღვის სანაპიროზე ბინადრობასთან, ამ ტომთა საქართველოს ისტორიულ ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები ყოველთვის იწვევდა აფხაზ და ქართველ მეცნიერთა შორის დავასა და შეუთანხმებლობას. მაგრამ განსაკუთრებულ სიმწვავეს და შეურიგებელ წინააღმდეგობას მიაღწია ამ პრობლემამ უკანასკნელ წლებში, როდესაც აფხაზი სეპარატისტები ცდილობენ გამოიყენონ ისტორია აფხაზთა და ქართველთა საბჭოლიო ურთიერთგადაკიდებისთვის. ამასთან, ეს ეკეთება პოზიციებიდან, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო მეცნიერებასთან, საქართველოს და მისი ძველთაგანვე განუყოფელი ნაწილის — აფხაზეთის ისტორიის ფაქტების უხეში და წინასწარგანზრახული დამახინჯება-გაყალბების გზით. აფხაზმა ექსტრემისტებმა და მათმა იდეოლოგებმა მოახერხეს ფართოდ მოეფინა საზღვარგარეთის ქვეყნებისთვის პრესისა და ცალკე პუბლიკაციების შემეშვეობით ეს ცრუმეცნიერული გამონაგონი. ამის ყველაზე აშკარა მაგალითია 1993 წ. მოსკოვში გამოცემული „აფხაზეთის თეთრი წიგნი" და იკორნინოს სტატიები და სარკვევები.

ამგვარი ფსევდო-მეცნიერული პუბლიკაციების საპირისპიროდ, როგორც ვიცით, იმავე მოსკოვში გამოვიდა სვეტლანა ჩერკინსკაიას შესანიშნავი წიგნი: „აფხაზეთი — 1992 : პოსტკომუნისტური ვანდეა", რომელშიც ავტორმა პირად დაკვირვებათა და დიდძალი ლიტერატურის გაცნობის შედეგად ობიექტურად, საკითხის ღრმა ცოდნითა და მოქალაქეობრივი პრინციპულობით მოუთხრო მკითხველს აფხაზეთში მოძრავ საზარელ მოვლენათა და აფხაზეთის ისტორიის შესახებაც. ფართო საზოგადოებრიობა კარგად იცნობს ამ წიგნს და მან საეცოალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

და აი, ახლა ჩვენს ხელთაა ახალი, უკვე წმინდა მეცნიერული ნაშრომი, რომელიც ასეთსავე მაღალ შეფასებას იმსახურებს. ესაა გივი წულაიას წიგნი „აფხაზეთი და აფხაზები საქართველოს ისტორიის კონტექსტში, მონოგოთამდელი პერიოდი". წიგნი რუსულ ენაზე გამოვიდა მოსკოვში 1995 წ. აღსანიშნავია, რომ წიგნი გამოსცა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნ.მიკლუხო-მაკლაის სახელობის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტმა, რაც მისი ერთგვარი მეცნიერული პასპორტია. ამავე დროს ჩვენთვის ცნობილია, რომ გ.წულაიას საკმაო სიმწვავეებისა და წინააღმდეგობათა დაძლევა მოუხდა ამ წიგნის გამოცემისას, მაგრამ მან პრინციპული პოზიციები არ დათმო.

ჩვენ არ ვაპირებთ ამ წიგნის ყოველისმომცველი რეცენზიის წარმოდგენას, მაგრამ ჩვენს მოვალეობად ჩავთვალეთ მის გამოსვლას გამოეხმაურებოდით. გ.წულაია კარგად არის ცნობილი მეცნიერულ წრეებში. იგი თუმცა მოხკოვში მოღვაწეობს, წარმოშობით ხოხუმის მკვიდრია და ამდენად, აფხაზეთის მოქალაქეები მისთვის ღრმა განცდის საგანია. გ.წულაია მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს როგორც შუასაუკუნეთა კაკასიის ისტორიის პრობლემების მკვლევარი, ხოლო ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქართული მატიანეების რუსულ ენაზე მისეული თარგმანები, რომლებიც მაღალკვალიფიცურადაა შესრულებული; ამით გ.წულაიას დიდი წვლილი შეაქვს ქართულ წყაროთა რუსულენოვანი მკითხველის, პირველ რიგში ისტორიკოსებისთვის გაცნობის საქმეში.

გ.წულაიას წიგნს წინ უძღვის პასუხისმგებელი რედაქტორის აკადემიკოს ხაჯი მურატ იბრაგიმოვლის მოკლე წერილი, რომელშიც მაროვებულად და ობიექტურადაა შეფასებული წიგნში დასმული პრობლემაც და მისი ავტორისეული გადაწყვეტაც. ესეც მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი ფაქტია.

წიგნის ნინასიტყვაობაში ("წინასიტყვაობის მაგიერ") გ.წულაია სწორად და მოუკერძოებლად აღნიშნავს „შეხედულებათა იმ არევდარევას", რომელიც სუფევს განსახილველ საკითხში და განსაკუთრებით მკვეთრად აკრიტიკებს თანამედროვე „აფხაზთმეცოდნეობისთვის" დამახასიათებელ „ფაქტების განზრახ დამახინჯების ტირანიას, აშკარა უვიცობის აკადემიურ ჭეშმარიტებად გასაღებას", აქვე მოაყვს ამგვარი დამახინჯების რამდენიმე განსაკუთრებით თვალნათელი მაგალითი, რომლებიც თუნდაც უკვე დასახელებულ „აფხაზეთის თეთრ წიგნში" ეხედებიან.

დღეს, როდესაც ფართოდაა გავრცელებული აფხაზი ექსტრემისტების რიგებში მყოფ ცალკეულ ისტორიკოსთა გბაოლოტებული გმირობები საეთნალისტური აფხაზომეცოდნეობის ამგვარი შეფასება ესოდენ სოლიდურ და კომპეტენტურ გამოცემაში, როგორიცაა გ.წულაიას წიგნი, ცხადყოფს აფხაზური ექსტრემიზმის მიმდევართა მტკიცებების სრულ უსუსურობასა და სიყალბეს.

მაგრამ გ.წულაია მიზნად ისახავს მეუკერძოებლობას და პრინციპულ ობიექტურობას, ამიტომ სრულიად სამართლიანად და კანონზომიერად უთითებს იმ უზუსტობებსა და დამახინჯებებს, რომელთაც ქართველ ავტორთა შრომებშიაც ეხვდებით. გ.წულაია არ ასახელებს კონკრეტულ ავტორებს, მაგრამ მაგალითის სახით მოაქვს მტკიცება, რომლის მიხედვით უარყოფილია აფხაზური ეთნოსის ეოფა აფხაზთა თანამედროვე განსახლების ადგილებში, არა მარტო XVII საუკუნემდე, არამედ უფრო გვიანაც; ან კიდევ თითქოსდა არსებული შეუთავსებლობა ეკზონიმ „აფხაზთან" მის მატარებელთა თვითდასახელებისა „აფსუა", რომელიც გუგებრობის ნიადაგზე, იქცა არარსებულ ეთნონიმად „აფსუები" ("ашхуйцы").

ეჯიქრობთ, ყველა მეტნაკლებად სერიოზული ისტორიკოსი, ვისაც კი უკვლევია აფხაზეთის ადრეული ისტორია და ვინც პირველწყაროებს სათანადოდ იცნობს, მოლიანად მხარს დაუჭერს გ.წულაიას. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ მოყვანილი მტკიცება მოძღვინარეობს პანგორიაყეს წიგნიდან „გეორგი მერჩულე". ამ გამოჩენილ მოღვაწეს მნიშვნელოვანი გამოკვლევებიი აქვს დადგენილი ქართული მეცნიერება, მაგრამ მისი კონცეფცია აფხაზეთის ძველი მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების შესახებ კრიტიკას ვერ უძლებს და, სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადოთ, მას არა აქვს არავითარი დადასტურება პირველწყაროებში. არ არსებობს არავითარი, აბსოლუტურად არავითარი საფუძვლები მივიჩნიოთ აფსილები და აბაზგები გენეტიკურად ქართველ ტომებად, ხოლო თვით ეს ეთნონიმები უდავოდ აფხაზურ-ადიღური სამყაროს უკავშირდება. სამწუხაროდ, ამ შეხედულებას დღეს ჰყავს მიმდევრები და გ.წულაია ბაესებით მართალია, როდესაც მას უარყოფს და აფსილებსა და აბაზგებს აფხაზთა წინაპარ ტომებად მიიჩნევს. ამის შესახებ ბოლოს და ბოლოს გადაჭრით უნდა ითქვას, და უნდა დამთავრდეს აფხაზეთის ისტორიის არაკომპეტენტური განხილვა. უნდა გავიგოთ, რომ, როდესაც აფხაზებს სრულიად გაუმართლებლად მათ ისტორიას ვარიმეავთ, ამით შეურაცხყოფთ იმ აფხაზთა გრძნობებსაც, რომელთაც სწორად ესმით ქართულ-აფხაზური ურთიერთობანი, მიიღტვიან ქართველებთან ერთობლივი ცხოვრებისკენ, არ უჭერენ მხარს ექსტრემისტებს. ამით ჩვენ ზიანს ვაყენებთ ამ ურთულესი პრობლემის გადაწყვეტას ისევე, როგორც თავის დროს პანგორიაყეს კონცეფციის გამოქვეყნებამ ზიანი მიაყენა აფხაზურ-ქართულ ურთიერთობებს და ბევრი ლოიალურად განწყობილი აფხაზი აგვიმხედრა.

გ.წულაია თავის კვლევას ახალი წელთაღრიცხვის დადგომით იწყებს და ავსებით მართებულადაც იქცევა, რამდენადაც სწორედ ახ.წ. პირველი საუკუნეებიდან ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში იხსენიებიან, რომელ ისტორიკოსთა მიერ, აფსილები და აბაზგები. რასაკვირველია, გამორიცხული არაა ამ ტომთა ამ რეგიონში უფრო ადრეც ყოფნა, მაგრამ ეს მხოლოდ კარაფელია და გ.წულაიას მხრიდან ამ სათუო ჰიპოთეზაზე უარის თქმა ავსებით გასაგებია.

აფხაზურ-ქართულ ურთიერთობათა შემდგომი ისტორია გ.წულაიას მიერ გადმოცემულია ხრულიად მართებული პოზიციიდან და მოლიანად ემყარება პირველწყაროებსა და კვალიფიციურ მეცნიერულ გამოკვლევებს. აქვე აღვნიშნავ, რომ ავტორის ყველა დებულება და მტკიცება არაა ჩვენთვის მისაღები, არასრული ჩანს გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაც, მაგრამ პოლემიკა ჩვენს შორის შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ შედარებით მეორეხარისხოვან საკითხების და ამჟამად მისთვის ადგილი არაა. წიგნის ძირითადი ძაბრთულება კი, როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ პროცესთა შეფასება, წარმოდგენილია სწორად და ობიექტურადაა დასაბუთებული. რაც მოავარია, ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ ავტორის ძირითად კონცეპტუალურ პრინციპებს.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ რომაულ-ბიზანტიურ წყაროებსა და ტოპონიმიკაზე დაყრდნობით გ.წულაია უჩვენებს ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე, აფხაზურ ტომთა გვერდით, იმივეთვე უდავო არსებობას ქართველურ მეგრულ-ჭანური და სვანური ტომებისა. როგორც ცნობილია, აფხაზი ექსტრემისტები ამ უდავო ფაქტს განსაკუთრებით გაფთრებით უარყოფენ და ქართული მოსახლეობის აფხაზეთში გაჩენას ლამის გუშინდელ დღეს, საბჭოთა პერიოდს უკავშირებენ. ჩვენ არაერთგზის აღგვინიშნავს ქართული მოსახლეობის აფხაზეთის ტერიტორიაზე არა მარტო ისთვითვე არსებობა, არამედ ამ უკანასკნელის წამყვანი როლიც ამ რეგიონში და დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გ.წულაიამაც თვალსაზრისი აჩვენა აფხაზი ვაიისტორიკოსების მტკიცების სრული ბასურდულობა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ იგი კატეგორიულად უარყოფს კოდორის ხეობაში მოსახლე მისიმიელების აფხაზურ წარმომავლობას და მათ გადაჭრით სვანებად მიიჩნევს; ამასთან, იგი უარყოფს ენებელდასა და მის შემოგარენში აფსილთა მოსახლეობის უმირაჭეს როლს და კიდევ ერთხელ აღასტურებს კოდორის ხეობაში სვანთა იმავითვე განსახლებას, რასაც აგრეთვე უარყოფდნენ ვორონოვისეული „ისტორიკოსები".

ავტორი განიხილავს მოცულ ისტორიას კიდრე მონღოლთა შემოსვევამდე და დამაჯერებლად აჩვენებს აფხაზთა მუდმივ ინტეგრაციას ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ საფარში. გ.წულაიას ნაშრომიდან კიდევ ერთხელ ნათლად და ზუსტად დასაბუთებულად გამოჩნდა ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთხელ აღნიშნული დებულება, რომ აფხაზები ყოველთვის წარმოადგენდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის განუყოფელ ნაწილს, ამ სახელმწიფოებრიობის

იქ, უცხოეთში

ჰარი ბელაფონტემ მუსიკისა და სიმპსონის პროცესის შესახებ

